ევროკავშირი საქართველოსთვის

UNDP

# წვდომა საექსპორტო ბაზრებზე

# INCLUSIVE ACCESS TO MARKETS



# პროგრამა ‘EU-link‘



**მიზანი: მცირე და საშუალო საწარმოების (SME) დაკავშირება პოტენციურ მყიდველებთან, პარტნიორებთან და/ან ინვესტორებთან ევროკავშირის პრიორიტეტულ საექსპორტო ბაზრებზე.**

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, SME-ები მიიღებენ **ფინანსურ მხარდაჭერას მათთვის სასურველი დარგობრივი ექსპერტებისა და სხვა სახის კონსულტანტების დასაქირავებლად.** აღნიშნული კონსულტანტები დაეხმარებიან ბენეფიციარებს:

- ✓ პროდუქცია ან/და მომსახურება შესთავაზონ ახალ სამომხმარებლო ბაზრებს ევროკავშირში;
- ✓ მოიძიონ უცხოელი პარტნიორები;
- ✓ მიიღონ სასურველი ინფორმაცია სამიზნე საექსპორტო ქვეყნების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია ტენდენციების, მარკეტინგული შესაძლებლობების, სამართლებრივი და კულტურული ბარიერების შესახებ.

## პროგრამა ხორციელდება ევროკავშირის დაფინანსებით, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ





# პროგრამა ‘EU-link‘



**თანადაფინანსების მოცულობა -** საკონსულტაციო მომსახურების სრული ღირებულების 70%, თუმცა არაუმეტეს $3,500 ერთ ბენეფიციარზე.

- თანადაფინანსების მისაღებად აუცილებელია **თითოეულმა ბენეფიციარმა SME-იმ საკონსულტაციო მომსახურების მთლიანი ღირებულების მინიმუმ 30% თავად დაფაროს**.
- ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.
- კონსულტანტი შეიძლება იყოს როგორც **ფიზიკური (ინდივიდუალური კონსულტანტი), ასევე იურიდიული პირი (საკონსულტაციო კომპანია).**
- განაცხადში ნათლად უნდა იყოს წარმოდგენილი თუ რატომ შეირჩა აღნიშნული ევროკავშირის ქვეყანა/ქვეყნები და როგორ შეუწყობს ხელს კონსულტანტის დაქირავება აღნიშნულ ბაზარზე/ბაზრებზე ექსპორტის დაწყებას ან/და ზრდას.

რეკომენდებულია, კვალიფიციური კონსულტანტების მოძიებისა ან/და შერჩეული კონსულტანტების გადამოწმების მიზნით, განმცხადებლებმა კონსულტაცია გაიარონ ადგილობრივ ბიზნეს ასოციაციებთან.





# ბენეფიციარების შერჩევა



პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად რამდენჯერმე გამოცხადდება ღია კონკურსი და თითოეული კონკურისის ფარგლებში შეირჩევა 5-15 პოტენციური ბენეფიციარი/SME. პროგრამის განმავლობაში ჯამში 30-მდე SME მიიღებს თანადაფინანსების მხარდაჭერას.

განაცხადის თანადაფინანსებაზე გადაწყვეტილებას იღებს პროგრამის ფარგლებში შექმნილი სპეციალური კომიტეტი, რომლის მანდატსა და შემადგენლობას განსაზღვრავს გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP Georgia). პროცესი მოიცავს ორ ეტაპს:

1. **ადმინისტრაციული შემოწმება:** განაცხადის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობისა და განაცხადში მითითებული ინფორმაციის სიზუსტის დადგენა
2. **ტექნიკური შეფასება:** განაცხადის ქულებით შეფასება და თანადაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღება

**თანადაფინანსების გადახდა:** პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციარი პირდაპირ არ მიიღებს ფინანსურ რესურსს. ნაცვლად ამისა, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) დამტკიცებულ თანადაფინანსების თანხას პირდაპირ გადარიცხავს კონსულტანტის მიერ მითითებულ ბიზნეს ანგარიშზე. გადახდა განხორციელდება აშშ დოლარში.





# პროგრამის ფარგლებში დაშვებული ეკონომიკური საქმიანობის სახეები



**სოფლის მეურნეობისა და წარმოების/დამამუშავებელი მრეწველობის სექტორი**

პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ შემდეგ **სექტორში მოღვაწე ბიზნეს სუბიექტებს**, რომლებიც საქართველოში აწარმოებენ პროდუქციას, „საქართველოს ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის“ მე-2 რედაქციის A და C სექციების[1] შესაბამისად:

- სექცია A სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა
- სექცია C წარმოება/დამამუშავებელი მრეწველობა

**შენიშვნა**: პროგრამა არ ვრცელდება თამბაქოს ნაწარმის წარმოებაზე; ასევე, აქტივობებზე, რომლებიც უკავშირდება სამხედრო, ბირთვულ და სახიფათო ნივთიერებების წარმოებასა და მათთან დაკავშირებულ საქმიანობებს

**შენიშვნა:** პროგრამის განხორციელების პერიოდში შესაძლოა შეიცვალოს დასაშვები ეკონომიკური საქმიანობების სია.



[1] საქართველოს ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის“ მე-2 რედაქცია
https://www.geostat.ge/media/70150/NACE-Rev_2_GE_2023.pdf



# პროგრამის ფარგლებში დაშვებული ეკონომიკური საქმიანობის სახეები



**მომსახურების სექტორი**

პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ იმ ბიზნეს სუბიექტების მხარდაჭერას, რომლებიც ოპერირებენ „საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის ეკონომიკური საქმიანობის სახეები“ რედაქცია 2-ის[2] მიხედვით მომსახურების შემდეგ სფეროებში:

- სექცია J ინფორმაცია და კომუნიკაცია;
- სექცია M პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები;
- სექცია N ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები: განყოფილება 78 დასაქმებასთან დაკავშირებული საქმიანობები და განყოფილება 82 ოფისის ადმინისტრაციული, ოფისის დამხმარე და ბიზნესის სხვა დამხმარე საქმიანობები;
- სექცია P განათლება;
- სექცია Q ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები: განყოფილება 86 ჯანდაცვის საქმიანობები;
- სექცია R ხელოვნება, გართობა და დასვენება (გარდა განყოფილებისა 92 აზარტული თამაშების საქმიანობები).

**შენიშვნა**: პროგრამა არ ვრცელდება ტურიზმის სფეროში განხორციელებულ საქმიანობებზე.



[2] საქართველოს ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის“ მე-2 რედაქცია https://www.geostat.ge/media/70150/NACE-Rev_2_GE_2023.pdf



# პროგრამაში მონაწილეობის ეტაპები



1. დოკუმენტაციის მომზადება და კონსულტანტის შერჩევა
2. ელექტრონულად განაცხადის წარდგენა
3. განაცხადის განხილვა და შეფასება
4. პროექტის განხორციელება
5. დასრულება და ანგარიშგება
6. თანადაფინანსების თანხის გადახდა UNDP-ის მიერ





# საკვალიფიკაციო მოთხოვნები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (SME)



პროგრამაში მონაწილეობის მსურველი მეწარმე სუბიექტი უნდა აკმაყოფილებდეს ყველა მოცემულ საკვალიფიკაციო მოთხოვნას:

- განმცხადებელი წარმოადგენს პროგრამაში განაცხადის წარდგენამდე **მინიმუმ 1 წლით ადრე საქართველოში რეგისტრირებულ მეწარმე ფიზიკურ ან იურიდიულ პირს** და საქართველოს ტერიტორიაზე აწარმოებს პროდუქციას და/ან ეწევა მომსახურებას.
- სულ მცირე 50% მესაკუთრე(ებ)ი/წილის მმართველ(ებ)ი არის/არიან საქართველოს მოქალაქე რეზიდენტი ფიზიკური პირ(ებ)ი და/ან რეზიდენტი იურიდიული პირ(ებ)ი.
- განმცხადებლის ბოლო 1 წლის **წლიური შემოსავალი არ არის 50,000 ლარზე ნაკლები და ამასთან, არ აღემატება 60 მილიონ ლარს**.
- არ წარმოადგენს სახელმწიფოსა ან/და მუნიციპალიტეტის, აგრეთვე სს „საპარტნიორო ფონდის“ მიერ პირდაპირი ან არაპირდაპირი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ იურიდიულ პირს.
- არ ირიცხება მევალეთა რეესტრში.
- მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება („რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად).





# კონსულტანტის მიმართ არსებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები



პროგრამაში მონაწილეობით დაინტერესებულმა პირებმა **დამოუკიდებლად, განაცხადის წარდგენამდე, უნდა მოიძიონ ევროკავშირის ბაზარზე მოქმედი კონსულტანტები.** შერჩეულმა კონსულტანტმა უნდა დააკმაყოფილოს ქვემოთ მოცემული ყველა პირობა:

- **ადგილმდებარეობა და რეგისტრაცია:** კონსულტანტი უნდა იყოს **ევროკავშირის, დიდი ბრიტანეთის, ისლანდიის, ლიხტენშტეინის, ნორვეგიის ან შვეიცარიის რეზიდენტი იურიდიული (საკონსულტაციო კომპანია) ან ფიზიკური პირი (ინდივიდუალური კონსულტანტი)**.
- **განათლება**: მინიმუმ ბაკალავრის დიპლომი ან ეკვივალენტური ხარისხი შესაბამის სფეროში (მაგ. ბიზნესი, სავაჭრო სამართალი, ეკონომიკა). საკონსულტაციო კომპანიის შემთხვევაში, აღნიშნულ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს ამ დავალებაზე პასუხისმგებელი თანამშრომელ(ებ)ი. სასურველია დამატებითი სერტიფიკატები ან სხვა დოკუმენტები ექსპორტის განვითარების, ვაჭრობის ხელშეწყობის ან საკონსულტაციო მომსახურების გაწევის მიმართულებით.
- **გამოცდილება**: **მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება ევროკავშირში** ბიზნესისთვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევის ან ევროკავშირის ბაზარზე შესვლასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებაში.

უპირატესობად ჩაითვლება განვითარებადი ქვეყნების (განსაკუთრებით აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები) მცირე და საშუალო საწარმოების ევროკავშირის ბაზარზე შესვლის მხარდაჭერაში გამოცდილება. ასევე, უპირატესობა მიენიჭება კონსულტანტებს, რომლებსაც აქვთ იმ კონკრეტულ სექტორ(ებ)ში გამოცდილება, რომელშიც პოტენციური ბენეფიციარი ოპერირებს.





# კონსულტანტის მიმართ არსებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები



- **სამიზნე უცხოური ბაზრის ცოდნა:** უნდა დადასტურდეს, რომ კონსულტანტი კარგად იცნობს სამიზნე უცხოურ ბაზარს, მათ შორის, ქვემოთ მოცემულ საკითხებს:
  - ინდუსტრიის დინამიკა და ბაზარზე არსებული მოთხოვნა;
  - სექტორის შესაბამისი რეგულაციები;
  - ბაზრის ძირითადი მოთამაშეები და კონტაქტების ქსელი (მაგ. მყიდველები, მარეგულირებლები, სავაჭრო ასოციაციები და ა.შ.);
  - ბიზნეს პრაქტიკა და კულტურული ნიუანსები.

- **პროფესიული კეთილსინდისიერება და დამოუკიდებლობა**
  - კონსულტანტს არ უნდა ჰქონდეს რაიმე ფინანსური, ქონებრივი ან ოჯახური კავშირები განაცხადის შემომტან პირთან;
  - კონსულტანტმა მომსახურება უნდა გასწიოს გამჭვირვალედ, მიუკერძოებლად და ეთიკურად;
  - გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მოთხოვნის შემთხვევაში, კონსულტანტი მზად უნდა იყოს წარმოადგინოს დოკუმენტაცია და გაიაროს ვერიფიკაცია.





# საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში გაწეული დასაშვები აქტივობები



თანადაფინანსების მხარდაჭერით მოთხოვნილი საკონსულტაციო მომსახურება პირდაპირ კავშირში უნდა იყოს ევროკავშირის ბაზარზე შესვლის მიზნებთან. დასაშვები აქტივობების მაგალითებია:

**სტრატეგიულ ბაზარზე შესვლის მხარდაჭერა, პოპულარიზაცია და მარკეტინგი**
- მარკეტინგული მასალების შექმნა;
- უცხოურ ბაზარზე შესვლისა და ბრენდის პოზიციონირების სტრატეგიის შემუშავება;
- სავაჭრო გამოფენებში მონაწილეობასა და კონტაქტების დამყარებაში მხარდაჭერა.

**პარტნიორების გამოვლენა და საჭირო კონტაქტების დამყარება**
- პოტენციურ მყიდველებთან, დისტრიბუტორებთან, ბიზნეს ასოციაციებთან და დარგის სხვა წარმომადგენლებთან შეხვედრების ორგანიზება;
- მხარდაჭერა პოტენციურ კლიენტებთან მოლაპარაკებებში.

**სამიზნე უცხოური ბაზრის შესახებ ინფორმაციის მოძიება და ანალიზი**
- ბაზრის კვლევა, კონკურენტების ანალიზი და ფასწარმოქმნის სტრატეგიის მომზადება;
- კონსულტაცია ექსპორტის განსახორციელებლად საჭირო სერტიფიკატების, ლიცენზიებისა და სხვა დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებით.

**ოპერაციული მოწყობა და წარმომადგენლობა**
- კონსულტაცია ბიზნესის ან/და ადგილობრივი წარმომადგენლობის რეგისტრაციის შესახებ;
- დახმარება სამიზნე ქვეყანაში სადისტრიბუციო არხების, ლოგისტიკის, საბაჟო პროცედურებისა და შეკვეთის შესრულებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებში.

**ინდივიდუალურ საჭიროებაზე მორგებული სხვა საკონსულტაციო მომსახურება, რომელიც შეესაბამება ამ პროგრამის მიზნებს.**





# 2. განაცხადის წარდგენა



პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად განმცხადებელმა ელექტრონულად უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- შევსებული განაცხადის ფორმა ინგლისურ ენაზე;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- უფლებამოსილი პირის შესაბამისი წესით დამოწმებული **ბოლო 1 წლის ფინანსური ანგარიშგება** (მოგება-ზარალის უწყისი) ან/და აუდიტის დასკვნა (წლიური შემოსავლის დადასტურების მიზნით);
- **CV/რეზიუმე (ინდივიდუალური კონსულტანტებისთვის) ან კომპანიის პროფილი და ამ დავალებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლ(ებ)ის CV/რეზიუმე(ები)** (საკონსულტაციო კომპანიებისთვის) (ინგლისურ ენაზე);
- **დეტალური შეთავაზება მომსახურების გაწევის თაობაზე და/ან წინასწარი ინვოისი სრულ ღირებულებაზე** (ინგლისურ ენაზე, აშშ დოლარში, დღგ-ს გარეშე), სადაც აღწერილია სამუშაოს მოცულობა, მიზნები, სამუშაო შესასრულებლად საჭირო საათები/დღეები, ვადები, მოსალოდნელი შედეგები და დოკუმენტები, რომლებიც მომზადდება საკონსულტაციო მომსახურების შედეგად (მაგ. ანგარიშები, ბაზრის ანალიზი, საკონტაქტო პირების ბაზა და ა.შ.);
- **დეტალური შეთავაზება და/ან წინასწარი ინვოისი (ინგლისურ ენაზე, აშშ დოლარში, დღგ-ს გარეშე) მომსახურების მხოლოდ იმ ნაწილზე, რომლის დაფინანსებასაც განმცხადებელი ითხოვს UNDP-სგან** (სრული ღირებულების მაქსიმუმ 70% და არაუმეტეს $3,500 ერთ ბენეფიციარზე). ამასთან, აღნიშნულ ინვოისში აღწერილი უნდა იყოს სამუშაოს მოცულობა, მიზნები, ვადები, მოსალოდნელი შედეგები და დოკუმენტები, რომლებიც მომზადდება მომსახურების ფარგლებში;
- **ექსპორტის სტრატეგია ან ბაზარზე შესვლის გეგმა**, სადაც მითითებული იქნება:
  - იდენტიფიცირებული პრიორიტეტული სამიზნე ბაზარ(ებ)ი/ქვეყნები;
  - ბაზრის შერჩევის კრიტერიუმები და არგუმენტაცია;
  - მოსალოდნელი ბიზნეს შედეგები (მაგ. პარტნიორების მოძიება, გაყიდვების ზრდა, ადგილობრივი წარმომადგენლობის დაფუძნება და ა.შ.).





# 3. განაცხადის განხილვა და შეფასება



განაცხადების განხილვის და შეფასების პროცესი მოიცავს ორ ეტაპს:

1. **ადმინისტრაციული შემოწმება: განაცხადის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობისა და განაცხადში მითითებული ინფორმაციის სიზუსტის დადგენა.** განაცხადები, რომლებიც წარმატებით გაივლიან ადმინისტრაციული შემოწმების ეტაპს, ტექნიკური შეფასების ეტაპზე გადავლენ.
2. **ტექნიკური შეფასება: განაცხადის ქულებით შეფასება და თანადაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღება**

ბენეფიციარების შერჩევის თაობაზე **გადაწყვეტილება მიიღებული იქნება განაცხადების წარდგენის ვადის გასვლიდან დაახლოებით 4-6 კვირის განმავლობაში**. თითოეული ღია კონკურისის ფარგლებში შეირჩევა 10-15 მცირე და საშუალო ბიზნესი. იმ შემთხვევებში, **თუ ერთდროულად რამდენიმე კონკურსანტი დააგროვებს თანაბარ ქულებს, პრიორიტეტი მიენიჭება უფრო ადრე შემოტანილ განაცხადებს**.

დადებითი გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

- განმცხადებელს შეფასების თითოეული კრიტერიუმისთვის დადგენილი ქულების მაქსიმალური ოდენობის სულ მცირე 50% აქვს მიღებული, ხოლო ჯამურად ქულების 70% ან მეტი აქვს დაგროვებული.
- საკონსულტაციო მომსახურების მთლიანი ღირებულება, UNDP-ისთვის თანადაფინანსებისთვის წარდგენილი თანხა და პოტენციური ბენეფიციარის ფინანსური კონტრიბუცია შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ დაფინანსების მოთხოვნებს.





# 3. განაცხადის განხილვა და შეფასება



ტექნიკური შეფასების ეტაპზე განაცხადების შეფასება და ქულების მინიჭება ხდება ქვემოთ მოცემული კრიტერიუმების მიხედვით:

| კრიტერიუმი | კრიტერიუმის აღწერა | მაქსიმალური ქულა |
|---|---|---|
| განმცხადებლის პროფილი, გამოცდილება და საექსპორტო ბაზრ(ებ)ის ცოდნა | განმცხადებელი მკაფიოდ აღწერს თავის ძირითად ბიზნეს საქმიანობას, მათ შორის, მის მიერ წარმოებულ პროდუქტ(ებ)ს ან გაწეულ მომსახურებას, საქმიანობის ხანგრძლივობას და შესაბამის საექსპორტო გამოცდილებას. განცხადებაში ჩამოთვლილია კონკრეტული სამიზნე ბაზრები ევროკავშირის ტერიტორიაზე, რომელზე შესვლას და/ან გაფართოებას გეგმავს განმცხადებელი მომდევნო 18 თვის განმავლობაში და ნაჩვენებია, რომ აღნიშნულ ბაზრებზე არსებობს მოთხოვნა ქართული SME-ის მიერ შექმნილ პროდუქციაზე/მომსახურებაზე. ასევე, დასაბუთებულია თუ რატომ შეირჩა აღნიშნული სამიზნე ბაზრები. | 25 |
| მოთხოვნილი მხარდაჭერის რელევანტურობა და განმცხადებლის მიზნებთან შესაბამისობა | განაცხადში ნათლად არის ახსნილი ძირითადი მიზანი და მოსალოდნელი ბიზნეს შედეგები (მაგ., პარტნიორების მოძიება, გაყიდვების გაზრდა, ადგილობრივი წარმომადგენლობის დაფუძნება და ა.შ.). ნაჩვენებია, რატომ არის მოთხოვნილი მხარდაჭერა კრიტიკულად მნიშვნელოვანი SME-ის ექსპორტის განვითარებისთვის, როგორ გააუმჯობესებს ეს კონკურენტუნარიანობასა და ხელს შეუწყობს ევროკავშირის ბაზარზე შესვლას. განცხადება ტექნიკურად გამართული და თანმიმდევრულია. მასში ნათლად არის განსაზღვრული კონსულტანტის როლი, მოსალოდნელი შედეგები და დოკუმენტები, რომლებიც მომზადდება საკონსულტაციო მომსახურების შედეგად. | 25 |
| შერჩეული კონსულტანტის გამოცდილება და სანდოობა | განმცხადებელი წარმოადგენს სრულ და ზუსტ ინფორმაციას შერჩეული კონსულტანტის შესახებ, მათ შორის CV-ის/რეზიუმეს და/ან პროფესიულ პორტფოლიოს (ინდივიდუალური კონსულტანტებისთვის) ან კომპანიის პროფილსა და ამ დავალებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლ(ებ)ის რეზიუმე(ებ)ს (საკონსულტაციო კომპანიებისთვის). კონსულტანტის პროფესიული პორტფოლიო, რეპუტაცია და შესაბამისი გამოცდილება შეესაბამება განცხადებით შემოთავაზებულ აქტივობებს. წარმოდგენილი დოკუმენტები ნათლად აჩვენებს კონსულტანტის ექსპერტიზას შესაბამის სექტორში და მის კავშირებს/საკონტაქტო ქსელს (მაგ. მყიდველები, მარეგულირებლები, სავაჭრო ასოციაციები და ა.შ.) სამიზნე უცხოურ ქვეყანაში. | 20 |

# 3. განაცხადის განხილვა და შეფასება

ტექნიკური შეფასების ეტაპზე განაცხადების შეფასება და ქულების მინიჭება ხდება ქვემოთ მოცემული კრიტერიუმების მიხედვით (გაგრძელება):

| კრიტერიუმი | კრიტერიუმის აღწერა | მაქსიმალური ქულა |
|---|---|---|
| ორგანიზაციული მზადყოფნა და მართვის უნარები | განმცხადებელი ავლენს მზადყოფნას განახორციელოს შემოთავაზებული აქტივობები კონსულტანტთან თანამშრომლობით. შემოთავაზებული ვადები რეალისტურია და მოვალეობები მკაფიოდ განაწილებულია ორგანიზაციაში (მაგ. განცხადებაში წარდგენილი პროექტის მართვაზე გამოყოფილია შესაბამისი პასუხისმგებელი პირი ან გუნდი). განმცხადებელი აჩვენებს, რომ მას შემოთავაზებული პროექტის განხორციელებისთვის საჭირო უნარები და მართვის სტრუქტურა გააჩნია. | 10 |
| ბიუჯეტის დასაბუთება | ბიუჯეტი რეალისტურია და მოთხოვნილი დახმარების მასშტაბს შეესაბამება. განმცხადებელს დეტალურად აქვს წარმოდგენილი საკონსულტაციო მომსახურების მთლიანი ღირებულების, UNDP-ისგან თანადაფინანსებისთვის მოთხოვნილი ნაწილის, საკუთარი კონტრიბუციის და დაფინანსების სხვა წყაროების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაცია. | 10 |
| საერთო შეფასება: განაცხადის სისრულე, სტრუქტურა და თანმიმდევრულობა | განაცხადი კარგად არის სტრუქტურირებული, შინაარსობრივად თანმიმდევრული და სრული. ყველა საჭირო დოკუმენტი წარმოდგენილია. მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი, მკაფიო და ამყარებს განაცხადის მიზნებს. | 10 |
| ჯამში ქულების მაქსიმალური ოდენობა | | 100 |

# 4. პროექტის განხორციელება



**კონკურსში გამარჯვებულ ბიზნეს სუბიექტებს გადაწყვეტილება ეცნობებათ ოფიციალურად წერილობითი ფორმით**, რომელშიც აღწერილი იქნება:

– დამტკიცებული აქტივობები და ვადები;

– დამტკიცებული თანადაფინანსების ოდენობა;

– გადახდის პირობები და ანგარიშგების მოთხოვნები;

– ორივე მხარის უფლებები და პასუხისმგებლობები.

გამარჯვებულმა პირმა 10 სამუშაო დღის განმავლობაში უნდა დაადასტუროს ამ პირობების მიღება და გადაწყვეტილება აცნობოს UNDP-ის.

თანადაფინანსების პროექტის დამტკიცების შემდეგ, ბენეფიციარი იწყებს ურთიერთობებს არჩეულ კონსულტანტთან და ახორციელებს პროექტით დაგეგმილ აქტივობებს. თითოეულ ბენეფიციარს უფლება აქვს მიიღოს თანადაფინანსება მხოლოდ ერთხელ ერთი კალენდარული წლის განმავლობაში.

პროექტის განხორციელებისას, ბენეფიციარი ვალდებულია, ზედამხედველობა გაუწიოს კონსულტანტის მუშაობას და უზრუნველყოს შეთანხმებული სამუშაოს დროული და პროფესიონალურ დონეზე შესრულება.





# 5. დასრულება და ანგარიშგება



**საბოლოო ანგარიშგება:** საკონსულტაციო მომსახურების დასრულების შემდეგ, ბენეფიციარმა გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) უნდა წარუდგინოს მოკლე ანგარიში, სადაც შეჯამებული იქნება განხორციელებული აქტივობები, მიღწეული შედეგები (როგორიცაა, მაგალითად, ახალი სავაჭრო კონტაქტები, ჩატარებული შეხვედრები, იდენტიფიცირებული ბაზრისა და შესაძლებლობების შესახებ პრეზენტაცია და ა.შ.), კონსულტანტის მომსახურების ეფექტურობის შეფასება და შემდგომი ნაბიჯები. ანგარიშს თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. **კონსულტანტის საბოლოო ინვოისი**, რომელიც ასახავს მომსახურების მთლიან ღირებულებას.

2. **ცალკე ინვოისი მომსახურების იმ ნაწილზე, რომლის თანადაფინანსებასაც ბენეფიციარი ითხოვს UNDP-სგან;**

3. ბენეფიციარის მიერ საკონსულტაციო მომსახურების საფასურის **თავისი წილის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი** (საკონსულტაციო მომსახურების სრული ღირებულების მინიმუმ 30%);

4. საკონსულტაციო მომსახურების შედეგად მომზადებული დოკუმენტები (მაგ. ანგარიშები, ბაზრის ანალიზი, საკონტაქტო პირების ბაზა და ა.შ.);





# 6. თანადაფინანსების თანხის გადახდა UNDP-ის მიერ



პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციარი პირდაპირ არ მიიღებს ფინანსურ რესურსს.

ნაცვლად ამისა, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) დამტკიცებულ თანადაფინანსების თანხას პირდაპირ გადარიცხავს კონსულტანტის/მომსახურების მომწოდებლის მიერ მითითებულ ბიზნეს ანგარიშზე მოთხოვნილი დოკუმენტაციის დადასტურებიდან დაახლოებით 2-3 კვირის ვადაში.

**გადახდა განხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც საბოლოო ანგარიში დამტკიცდება UNDP-ის მიერ და ბენეფიციარი წარადგენს მომსახურების საფასურის თავისი წილის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტაციას**, რომელიც უნდა წარმოადგენდეს საკონსულტაციო მომსახურების საერთო ღირებულების მინიმუმ 30%-ს.





# პროგრამის მონიტორინგი, ბენეფიციარის მოვალეობები და მონაწილეობის პირობები



პროგრამის დოკუმენტურ მონიტორინგს ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) მის მიერ განსაზღვრული წესების შესაბამისად. UNDP უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე, განახორციელოს თანადაფინანსების ხარჯვის მიზნობრიობისა და პროგრამის მიმდინარეობის მონიტორინგი, პირადად ან დამოუკიდებელი სპეციალისტის/ექსპერტის/აუდიტორის მეშვეობით, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, **ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებითა და პირისპირ შეხვედრისას ინფორმაციის შეგროვებას, ბენეფიციარის საქმიანობის ადგილზე შემოწმებასა და პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების გადახედვას.**

ბენეფიციარი ვალდებულია, მოთხოვნის შემთხვევაში, ინფორმაციის მოთხოვნიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში, გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) მიაწოდოს უტყუარი, დროული და სრული ინფორმაცია პროექტის მიმდინარეობის შესახებ.

ბენეფიციარი ვალდებულია შესაძლებლობა მისცეს გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) მოამზადოს და გამოაქვეყნოს **წერილობითი ისტორიები, სურათები და ვიდეომასალა** თანადაფინანსებული პროექტის და ბენეფიციარის გამოცდილების შესახებ.

**პერსონალური მონაცემების დაცვა**: პროგრამაში მონაწილეობით, თქვენ თანხმობას აცხადებთ პერსონალური მონაცემების შეგროვებაზე, დამუშავებასა და შენახვაზე. მონაცემები, როგორიცაა სახელი, გვარი, ასაკი, სქესი, სარეგისტრაციო ნომერი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა, აუდიოვიზუალური მასალები, ადგილმდებარეობის მონაცემები და ა.შ. თქვენი პერსონალური მონაცემები გამოყენებული იქნება მხოლოდ გაეროს განვითარების პროგრამის მისიისა და მანდატის განხორციელების მიზნებისათვის. პირადი მონაცემების დაცვას უზრუნველყოფენ მონაწილე მხარეები, საქართველოში მოქმედი მონაცემთა დაცვის კანონის შესაბამისად.





# განაცხადის ფორმის ნიმუში და მასში მოცემული კითხვები



ქვემოთ მოცემული განაცხადის ფორმა არის მხოლოდ ინფორმაციული მიზნისთვის. პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად განაცხადი უნდა შეავსოთ შემდეგ ლინკზე: https://forms.gle/jDNUvxMPgEdjR5e19

**1. Primary contact person**

| | |
|---|---|
| Name | |
| Surname | |
| Sex | ☐ Female<br>☐ Male |
| Age | ☐ 14-29<br>☐ 30+ |
| Current position at the enterprise | |
| Telephone number | |
| E-mail | |
| Additional contact person, his/her telephone number and e-mail | |





# განაცხადის ფორმის ნიმუში და მასში მოცემული კითხვები



## 2. Background information on the SME

| | |
|---|---|
| SME name in Georgian; SME name in English | |
| Brand name in Georgian; Brand name in English [1] | |
| Website and/or a social network URL (if any) | |
| Legal status | |
| Identification number | |
| Date of registration | |
| 4-digit code of the business activity and category, based on the ‘National Classification of Economic Activities of Georgia, Rev 2’ [2] | |
| Please indicate the total number of employees in your business entity | |
| Please indicate the number of women employees in your business entity | |
| Please indicate the average annual revenue of your enterprise for the last year | ☐ Exceeds 60 million GEL<br>☐ 12 million GEL - 60 million GEL<br>☐ 2 million GEL - 12 million GEL<br>☐ 300,000 GEL - 2 million GEL<br>☐ 50,000 GEL - 300,000 GEL |
| Name and surname of the main authorized person / director | |
| Sex of the main authorized person / director | ☐ Female<br>☐ Male |
| Age of the main authorized person / director | ☐ 14-29<br>☐ 30+ |
| Phone number of the main authorized person / director | |
| E-mail of the main authorized person / director | |
| Legal address of the enterprise (region, municipality, city, street) | |
| Physical address of the enterprise (region, municipality, city, street) | |
| Please list shareholders (owners) and their respective ownership shares (%) | |



[1] The name under which your enterprise operates in the market, and which is associated with the products or services you offer to customers.
[2] National Classification of Economic Activities of Georgia, Rev 2 https://www.geostat.ge/media/70150/NACE-Rev_2_GE_2023.pdf



# განაცხადის ფორმის ნიმუში და მასში მოცემული კითხვები

## 3. Information about the SME activities and the requested support

| | |
|---|---|
| Brief description of business activities: What is your main field of activity? What goods and/or services do you produce, and how long have you been engaged in this activity?<br>(no more than 150 words) | |
| Have you exported goods and/or services during the last 3 years? | ☐ Yes<br>☐ No |
| If you have exported goods/services during the last 3 years, please indicate the export country/ies | |
| Approximately what percentage of your revenue comes from exports? | ☐ More than 50%<br>☐ 20% - 50%<br>☐ 5% - 20%<br>☐ Less than 5%<br>☐ I do not have any exports |
| Have you participated in any international trade shows during the last 3 years? | ☐ Yes<br>☐ No |
| Does your enterprise currently hold any international quality standard(s), certification(s), accreditation(s), and/or license(s) for its goods and/or services? If yes, please specify the relevant certificate(s) or documentation. | ☐ Yes<br>☐ No |
| In which target export market(s) do you plan to start and/or continue exports during the next 18 months? Please name a maximum of 3 target countries. Please briefly explain why you chose these countries and what makes you believe there is a strong demand for your products or services in these markets.<br>(no more than 150 words) | |
| Please describe the advisory service you plan to acquire, including its scope, timeline, and key objectives. Explain why this support is essential for your SME's export development, and how it will contribute to specific outcomes such as entering new markets, forming partnerships, increasing sales, establishing a local presence, etc. Please describe the advisor's role and planned deliverables and clarify how their support will improve your export potential and facilitate entry into new international markets.<br>(no more than 150 words) | |

# განაცხადის ფორმის ნიმუში და მასში მოცემული კითხვები



## 3. Information about the SME activities and the requested support

| | |
|---|---|
| Please provide brief information about the selected advisor (individual consultant or advisory firm) you plan to engage. Include relevant details such as:<br>– Professional background and portfolio;<br>– Expertise in the target sector(s);<br>– Experience with export development, market entry, partner identification and networking, local market intelligence, and/or regulatory support services;<br>– A proven network of relevant contacts (e.g., buyers, regulators, trade associations) in the destination market.<br>If the advisor is a company, include their website, a short description of their services, and contact details of the relevant representative (name, position, email, and phone number).<br>(no more than 150 words) | |
| Please provide information about the costs associated with the requested support, including:<br>(1) the total cost of the advisory service – invoice from supplier on total costs (outlining the scope of work, objectives, timeline, and total cost for services).<br>(2) the portion of the cost the SME requests to be co-financed by UNDP - invoice from supplier on portion of services and relevant costs (outlining the scope of work, objectives, timeline).<br>(3) the portion to be covered by the SME as its financial contribution.<br>(4) the source of any additional funding (if applicable), including grants or support received from other donors or public agencies for the same purpose. | |
| Please describe your SME's capacity to effectively work with the selected advisor and implement the proposed activities. Explain the internal resources allocated for this collaboration, including whether a designated employee or team will manage the process. Indicate the expected timeline for carrying out the activities and how your company is positioned to ensure smooth and timely execution.<br>(no more than 150 words) | |
| Additional information (optional field) – Use this section to provide any other information you consider relevant<br>(no more than 150 words) | |
| Please upload the required supporting documents for this programme. | |






მადლობა ყურადღებისთვის
THANK YOU